

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერიის

ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
 და განცხადებთა დასაბეჭდად
 უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა
 გაივარც. საზოგადოების კანცელიარის
ფასა განცხადებისა:
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გუშინდელს ნომერთან ჩვენის გაზეთის ხელის მოძიერლებს დაურთებდათ წიგნის „ოსმალეთში დასარბლებულ სომეხთა მძურის დასმარები“-ს შესახებ რუსეთის ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთის მიერ წარმოთქმული აზრი.

დირექტორის სამეურნეო დოქტორი, რი მედიცინის ნავსარდინი.
 Первая частная лечебница *Д-ра Навасардиана*.
 Тифлисъ, противъ памяти. Воронежю.
 (წ)

და ღვინოც ბევრი მოვაო. სიღნაღის ნაზარში გასულ თვის ბოლოს ყურძენი დამწიფებულა. ამას გარდა კახეთში პურიც კარგად მოვიდაო, ისე რომ ერთის დღიურიდან 35—45 ფუთი ხორბალი მოკრიფეს. მხოლოდ ზაქათალის ოლქში ყურძნის მოსავალი ამ წელს ცუდია ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა გამოო.

პელაგია საჩივრისა გამო 11 აგვისტოს გარდაეცა ტფილისის სამოსამართლო პალატას.

გამოვიდა და იხილება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მალაზიებში

მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქნა: სამსახურადგან, თავისისავე თხოვნით, ჯადმყოფობისა გამო, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სადგურის ზედამხედველი კოლეჯისკა რეგისტრატორი ივანე ერისთავი.

*. მართლ-მადიდებელთა ეკლესიის აზრებზე აბასთუმანში, როგორც იუწყებოდნენ, უკვე დაუმთავრებიათ და ამ მოკლე ხანში აკურთხებენ კიდეცაო.

*. გუშინ კრებაზედ ქალაქის გამგეობამ განიხილა სურბ-კარაპეტის ხევის მახლობლად მცხოვრებ სახლის პატრონების თხოვნა ამ ხეზედ იმართის ხარჯით ხიდის გაყვანის შესახებ. გამგეობამ დაადგინა მიანდოს აღმასრულებელ კომისიის შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა და ის ფული, რაც ამ საქმეს დასჭირდეს, გაანაწილოს სახლის პატრონების შორის. საყურადღებოა, ქალაქის გამგეობა რა პასუხს გასცემს ამ უცნაურ წინადადების პატრონთა?!

ბუნება და ცხოვრება

ილ. აღზახიშვილისა

ფასი 60 კაპ.

ვინც ზემოხსენებულ მალაზიებიდან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის წაღის გაგზავნას ღირს 37 კ. (20—84—19)

ახალი ამბავი

*. ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი პარასკევს, 14 აგვისტოს, ტფილისს დაბრუნდება.

*. გუშინ, 12 აგვისტოს, ქალაქის გამგეობამ მიიღო მოწერილობა კავკასიის მთავარ-მართებლის თანამშრომლის ა. ა. ფრეხსაგან. მოწერილობაში მთავარ-მართებლის თანამშრომელი ატყობინებს გამგეობას, რომ განვიხილეთ რა მეტივეების რწმუნე ბულის ნაფიცი ვეჭილის თანამშრომლის ჯაბადარის საჩივარი გამგეობის მიერ ტივების დაბეჭდვის და გაყიდვის აკრძალვის შესახებ, ვცანი, რომ ტივებზედ გადასახადი დროებით იყო დადებული და ეს ვადა კიდეც გავიდა 1897 წლის იანვარსაო. ამიტომ გიბრძანებთ, ეს გარდასახადი აღარ მოჰკრიბოთ, ვიდრე ხელ-ახლა ნება-რთვას არ აიღებთო.

*. ტფილისში აღმოჩნდა მეტად საინტერესო ძველი სომხური წიგნი, დაბეჭდილი 1660 წელს რომში. ეს წიგნი შეეხება რომის ლათინთა წესრიგსა და სომეხთა ტიბიკონის კათოლიკების ისტორიას. წიგნი მეტად ვრცელია და შიგ მოთავსებულია მრავალად წერილები, რომლებიც საქართველოს მეფეებს უგზავნიან რომის პაპებისთვის.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავსარდინისა (კუკიაში, ვორონოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავსარდინი, 11—12 საათ. სადოქტორო, ვენერიული (სიფილისი) და საზარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩაქვაგანი, 9—10 საათ. სნეულულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ა. რუდენკო. 10¹/₂—11¹/₂, საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუტრის.

ზ. ა. ბაბანასიანი. — დილის 11¹/₂—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. შ. კარაბეგოვანი. 1—1¹/₂, საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგია. 1¹/₂—2¹/₂ ს. შინაგანი, და საზარდეს ავადმყოფობის, ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ. სადამოაობით:

გ. მ. მასვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ-ნერვებისა და კანის სნეულუბ.

ბ. ა. ნავსარდინი—6¹/₂—7 საათ.

ტ. ა. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწვლირს ფასი ათი შაური; არბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

*. ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა ხელოსანთა მოურავს სერობიანს, რომ ეხლავე გამოიტანეთ ბანკიდან შეკრებილი ფული, რამდენიც საჭიროა, და დაურიგე ჯამაგირი სახელოსნო გამგეობის მოხელეებსაო, რაც მათ ეკუთვნის გასულ თვეებისაო.

*. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას განუზრახავს მომავალ მეფუტრეთა გამოფენაზედ, რომელიც 15 აგვისტოდან მუშტაილში იქნება გამართული, მონაწილეობა მიიღოს.

*. გუბერნატორს ოფიციალურად აცნობეს, რომ კახეთში ამ წელს ყურძნის მოსავალი ძალიან კარგია

*. მასწავლებლად ნამყოფის დირექტორი ღუმბაძის საქმე, რომელსაც ისა ჰბრალდება, რომ მასწავლებელ ქალის კლავდა შმაკოვის მოკვლა განიზრახა და რევოლვერი ესროლაო, თვით ღუმბაძისა და სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგის რიბინის სა-

*. სამხედრო ინჟინერს კაპიტანს გლინოეცის, რომელსაც ეწველა-

ნენ სქესებრივი მოვლენანი... ეს ახალი გაგონებაა!.. ბ-ნს მოსტოვიჩის თითქოს ენანება წარსული დროის ცხოვრება. რომ ეს მართალია, და ექიმი ცხოვრებას საკარისად არ დაჰკვირვებია, ამას ცხადად ამტკიცებს იმავე გაზეთში დასტამბულ მეორე წერილში. წერილის ავტორი დარწმუნებულია, რომ კაპიტალურმა წეს-წყობილებამ და მატერიალიზმის დედა-აზრმა ძირს დაამხო დასავლეთ ევროპის განათლებული წოდებანი... ამისთანა უთავბოლო და უსაფუძვლო წერილები კრიტიკულ განხილვას არა თხოულობს, მაგრამ ჩვენს საზოგადოება იმდენად განუვითარებელია, რომ დასტამბულ სიტყვას სულ სხვა ნაირად უყურებს. ამიტომ დავეკითხებით დ-რ მოსტოვიჩს—როდის აღიარებდა ხალხი უფრო მტიკედ თავის სარწმუნოებას? როდის იჩენდა ხალხი უფრო მაღალის თვისების ზნეობას? აბა დავგვიტყოს ბ-ნმა მოსტოვიჩმა, რომ იმ დროს, როდესაც ხალხი ზნეობრივად და სარწმუნოებით მაღლა იდგა, ქურდობა და ავაზაკობა უფრო ნაკლებად ხდებოდა, იშვიათი მოვლენა იყო.

ნაუგონრობა ქურდობასა და ავაზაკობასაო. ამას დაერთო ის აზრიც, ვითომ ქურდობა და ავაზაკობა შეადგენდნენ მხოლოდ კავკასიის ერთა ბუნებრივს თვისებას. გავარჩიოთ ორივე ეს აზრი. ამ კითხვებზედ მაშინ შეიძლება რიგინის, დასაბუთებულის პასუხის მიცემა, როდესაც გავკრით მანც—ველურ ადამიანის ცხოვრებას თვალს გადავავლებთ და ნელ-ნელა მოვლევით უფრო მაღლა მდგომ ხალხებთან. ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ჩავიხედოთ იმ მეცნიერთა ნაწერებში, რომელთაც შეისწავლეს პირველყოფილ დროის ადამიანის ყოფაცხოვრება. აქ ბევრს იმისთანას ამოვიკითხავთ, რაც ჩვენის ცხოვრების თვისებას შეადგენს, იმისთანა თვისებას, რომელიც გუშინ ჩვენთვის გაუგებარი რამ იყო და ახლა ვიცით, რომ ამ თვისებას სათავე კლდურ ცხოვრებაში დაკვირვებას დასდეს, რომელიც გუშინ ჩვენთვის გაუგებარი რამ იყო და ახლა ვიცით, რომ ამ თვისებას სათავე კლდურ ცხოვრებაში დასდეს (ამგვარი ადამიანები დღესაც ავსულებად იწოდებიან ჩვენს ხალხში) და სხვა,—ძალიან გავიკვირდება, გავგაოცრდეს, ვიდრე არ გავიგებთ ამ მოვლენათა მიზეზს. მეცნიერება გვეუბნება,—ეს რუდინტური მოვლენააო...

ქურდობა და ავაზაკობა იმისთანა მოვლენაა, ადამიანის იმგვარი მოქმედებაა, რომლის დასაწყისი იკარგება პირველ-ყოფილ დროში. ადამიანი ჰქურდობს და ავაზაკობს მას აქეთ, რაც თავისი მხგავსი მეტოქე აღმოუჩნდა ცხოვრებაში. მაშასადამე, ადამიანი ჰქურდობს აკვირდებოდა. ასე შორიდგან რომ არ დავწყით, ავიღოთ ის ხანა, როდესაც ადამიანი საქმოდ გამრავლდა, დაიყო ჯგუფებად და დაიჭირა სხვა-და-სხვა მიწაწყალი. აქედანვე უფრო აშკარად და თვალ-ნათლად დავინახავთ აწინდელის ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზს... ერთი ჯგუფი, გინა თემი შეეტაკა მეორეს; მოხდა კაცის კვლა, ერთმანეთის გაძარცვა, დატყვევება და სხვა. ერთის სიტყვით, ერთმა თემმა აიძულა მეორე თემი, ამ თემის წევრი ზიზღით უყურებდა მეორე თემის წევრს... ველური თემი სხვა თემს ხარბის თვლით უყურებდა და ბევრჯერ ერთი მეორის შრომით სარგებლობდა. თემი, რასაკვირველია, ამისთანა შეხედულებას სხვის საცოცხლეს და ჭიჭიბუნად ჰზრდიდა თავის თითოეულ წევრში, რომელიც სწორედ ისე ჰმოქმედებდა, რა გვარადაც მთელი თემი სთვლიდა საჭიროდ. ახალი და ახალი თა-

ობა ითვისებდა თავისის თემის ამგვარს შეხედულებასა და მიმართულებას და იზრდებოდა იმ ნიადაგზედ, რომ გარეშე კაცის მოკვლას, მისის სარჩო-საბადებელის დასაკუთრებას სთვლიდა თავისის ცხოვრების პირველ მოვალეობად. თემი არა თუ არ ეწინააღმდეგებოდა თავის სხვა-და-სხვა წევრს, რომ არ ჩადინა არაფერი ბოროტი რამ, არამედ ყოველთვის და საჯაროდ აქეზებდა კიდეც კაცის ფსიხოლოგიაში ერთი ნაბიჯი კიდეც წაღვა წინ—კაცის კვლა, გაძარცვა სახელის გათქმის საშუალებად, ვაჭაყობად მიიღო. თემიც ვაჭაყს ამხნევებდა, ტაშს უკრავდა. ყველა ამის დასამტკიცებელი საბუთი ბევრი მოიპოვებდა პირველ-ყოფილ დროის კულტურის მკვლევართა ნაწერებში (ტილორი, ლებოკი, სპენსერი, ლეტურნი და სხვანი), მაგრამ შორს არ გამოვეკიდებით ამ დამტკიცებას. ჩვენის საგნის გამოსარკვევად რამოდენიმე მაგალითიც კმარა. ავსტრალიის ველურ ადამიანს სულ თავისებური ლოგიკა აქვს ცხოვრების შესახებ; ასე იფიქრეთ, რომ ავსტრალიის მკვიდრი კეთილს ეძახის იმას, თუ სხვას აწიო რამე, ხოლო ბოროტს, როდესაც იმას აწიებენ. მაგრამ ეს კიდეც არა

ფელეტონი

ორიოდე სიტყვა ჟურნალ-აზა-ზაკობის შესახებ.

(დასასრული *)

რამდენადც გვახსოვს, დ. მოსტოვიჩის აზრი ახალი ამბავია ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ექიმი კალმის ერთი მოსმით აქარწყლებს ყველა აზრს ქურდობა-ავაზაკობის შესახებ და ამის სამაგიეროდ თავის საბუთებს იძლევა ამავე მოქმედების ასახსნელად, ასე რომ ამ ექიმმა თავისებური მოსაზრება შემოიტანა ამ საგნის გამოარკვევის საქმეში. ბ-ნი მოსტოვიჩი მოგვითხრობს, რომ ქურდობა და ავაზაკობა იმითომ გახშირდა ჩვენში, რომ ხალხში სარწმუნოება და ზნეობა მეტად დამცირდა, დაეცაო. ექიმის წერილში საყურადღებოდ უფრო ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ადამიანის ზნეობა-მორწმუნეობის დასახელებს მხოლოდ სქესებრივ მოთხოვნილებათა უწყისრიგო დაკმაყოფილებას; ასე იფიქრეთ, რომ, ბ-ნი მოსტოვიჩის აზრით, ადამიანის ზნეობრივ მხარეს შეადგე-

*) იხ. „ივერიის“, № 172.

სათვის კი არა ვინჩი იმდენად უანაგრო იყო, რომ რასაც იხოვდა, თავის მოწაფეებს გაუზიარებდა ხოლმე.

მართალია, ვინჩის უფეროა ხოლმე თავის ნაცვობის გაკვირება და გაოცება, მაგრამ აქ ხომ სიამაღობის არაფერია. ხანდახან ოთახში შეიტანდა ხოლმე ცხვირის 5-წლოებს, მეორე ოთახში ჰქონდა ფუჭი, რომლითაც ნაწლავებს გაბერავდა და შემოინებულს სტუმარს უმეფელად გააძევდა სახლიდან.

თვით ვტიკანის სასახლეშიაც, სადაც ვინჩი მიიწვია პაპმა ლეო მეათემ, ვინჩი თავს არ ანებებდა ხუმრობას. ერთხელ კუს გამაბა აღდრონი ფრთები, გაუკეთა რკბი, დიდრონი სახარული თვალები, მუდამ თან დათრევდა და ხალხს აწინებდა. მიუხედავად ამ ხუმრობისა, ვინჩი მეტად გონიერი კაცი იყო, ბევრის მცოდნე და თითქმის ყველა ხელთახლოში ძლიერ დახელოებული. საყურადღებოა, რომ ვინჩიმ ბევრხელ გაცილებით ადრე სთქვა, „რომ ცდა არის გასაღები და კარი ბუნების საიდუმლოთა შესწავლისა“.

ვახეთი „Central News“ სწერს ამას წინადაც გემის „ბურგონის“ დაღუპვის შესახებ: დილით, 6 ივლისს, გალიფაკსში, (ახალი შოტლანდია) ხმა გაერყელა, რომ ორზაბათს, 4 ივლისს, ზღვაში დაიღუპა საფრანგეთის საფოსტო გემი ბურგონი (La Bourgonne). გემზედ ყოფილა 726 კაცი, რომელთა შორის გადარჩა მხოლოდ 163, დანარჩენები კი ყველანი დაიღუპნენ გემთან ერთად. (შემდეგ დაუკვებია სჩანს, რომ სულ დაღუპულა 549 კაცი).

აი რასა სწერს ზემოხსენებული გახეთი: „გემი „ბურგონი“ გამოვიდა ნიუ-იორკიდან და გაემგზავრა ჰავრისაკენ შაბათს, 2 ივლისს. თან მიჰქონდა დიდძალი საქონელი და 506 მგზავრი (პირველ კლასში იყო 85, მეორეში 125, მესამეში 296, გემის მოსამსახურენი 220, სულ 726 კაცი). 4 ივლისს დილით სანდი-ჰუკიდან მოკლევადიანი გემი ჩვეულებრივ მშვიდობიანად მიდიოდა. 4 ივლისს დილით ზღვაზე გაჩნდა ბურჟი. გემმა სიარულს ცოტათი მოუკლლა. ბურჟი თანდათან გაძლიერდა და გემმა კიდევ მოუკლლა სიარულს.

დილის 5 საათზე გემიდან დაინახეს ოდნავ მბრუნელი ცუცხელი და იხვე დროს გამოჩნდა ცხვირი დილის იალქნისაში გემისა; გემი „ბურგონი“ იმ წამზედ მარცხნივ უნდა გაბრუნებინათ, რომ მეორე გემს არ დასჯახებოდა მაგრამ გვიან-და იყო. ორთავე, გემის ერთხელ მდგომ კაცებს შიშის ზარი დაეცა, ყველამ ერთად შეჰყვირეს სახარული ზმით და იალქნისაში გემის ცხვირი ჩაერჭო გემის „ბურგონის“ მარჯვენა გვერდს.

დაჯახების შემდეგ გემები ერთმანეთს დაშორდნენ.

ბურგონზე მყოფ მგზავრებს გამოეცხვიათ: ჯერ ვერაფერს ვერ მოეხსარებინა, რა მოხდა, ბოლოს ზარ-დაცემული ხალხი ტირილითა და ყვირილით ამოვიარა გემის ერთხელ. ზოგი ტანთ-საცმელი სულ არ ეცემა, ზოგი პერანგის ამრა იყო. წესიერება სრულიად დაირღვა. ყველა იხე იქცეოდა, როგორც მოისურვებდა. გემი თანდათან იღუპებოდა. ყოველად შეუძლებელი იმის აღწერა, რა ხდებოდა ამ დროს გემის ერთხელ.

გემის უფროსი დელანკელი მშვიდისა და ძლიერის ზმით უბრძანებდა ხელ-ქეითებს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამ განსაცდელის დროს, მაგრამ გამგონი არაფერი იყო. ყველა მარტო იმას სცილობდა, მე-კი ვადარებ სიკვდილს და სხვებს რაც უნდა მოვივლიეთ. გემის უფროსი სცილობდა, როგორმე ჩაეშვა ზღვაში ნაფეხი. ეს რომ მოეხერხებინა, მრავალი კაცი გადაარჩებოდა, მაგრამ ნაფეხის ჩაშვება ძლიერ ძნელი იყო. ბოლოს, როგორც იყო ერთი ნავი ჩაუშვეს, რომელიც იმ წამზედ ხალხით გაივსა. ხალხი ერთმანეთს ებრძოდა ადგილისათვის. ვისაც თან ქალი ჰყავდა, ერთი ხელი იმისათვის შემოეხვია და მეორით მტერს იგერებდა. ნავი მესაქებებით და მგზავრებით აივსა, მაგრამ გემზედ რალცამ იფეთქა, ნავს ზევიდან დაეცა ნამტრეკეები, გადაბრუნდა და შიგ მყოფნი ყველანი დაიღუპნენ. ხალხი

სცილობდა მეორე ნავიც ჩაეშვა წყალში, მაგრამ ვერ მოახერხეს.

გემის მარცხენა მხარეს არაფერი ჰქონდა ნაფეხის ზღვაში ჩაშვებას. აქ სულ სხვა სახარული ამბავი ხდებოდა. შიშით ზარდაცემული და გონება შერყეული მგზავრები ჩასხდნენ ამ ნაფეხში და აღარ ვადმოდიოდნენ. ვერც ბრძანებამა, ვერც თხოვნამ, ვერც რჩევა-დარეგებამ და ვერც მუქარამ ვერ გადმოიყვანა ეს ხალხი ნაფეხიდან. გემი-კი თან და თან ძირს მიდიოდა. ავტო ზღვის ტალღამაც-კი შემოჭრა ნაფეხს, მაგრამ შიგ მყოფი ხალხი ადგილიდან არ დაიძრა. ტალღამ ქალები და ბავშვები ნაფეხიდან მოიტაცა, გემი ამ მხრისაკენ გადინარა, ვინ-ლანი ზღვაში ჩაკვიდნენ და დაიღუპნენ. ეს ამბები რომ ჰხდებოდა, გემის უფროსი დელანკელი და იმისი თანამშემოვენი ლენტი ტივების დაკეთებას, ამავე დროს ზღვაში, ჩაუშვეს სამი ნავი მარჯვენა მხრისაკენ. გემზე სულ 200 კაცი იყო და ამ ნაფეხით მათ შორის მხოლოდ ერთი გადარჩა, ისიც თავისის ქმრის პროფესორის ლაკასის ღონისა და მხედობის მეოხებით. ამ ნაფეხს მიაწყდნენ მესამე კლასის მგზავრები, რომელთა შორის ბევრი იტალიელები იყვნენ და ნებით ხელში და შეუბრალულად მხარეს გადარჩნენ, ვინც წინ დაჰხედებოდათ, უმეფე ქალებსა და ბავშვებს... ამავე ნაფეხით გადარჩნენ გემის ზოგიერთი მოსამსახურენი-კაპიტანი დელანკელი და იმისი თანამშემოვენი მხენე იქცეოდნენ, როგორც შეჭმურის გამოცდილ ზღვასთან, მაგრამ იმის ბრძანებას არაფერ აქცევდა ყურადღებას, შესაძლებელი იყო, რომ 50 წუთის განმავლობაში, ე. ი. ვიდრე გემი დაიღუპებოდა, ყველა ქალი და ბავშვი ვადარჩინათ დაღუპვისაკენ. გემის დაღუპვის წამამდე უფროსი და იმისი თანამშემოვენი თავის აღივსეს არ მოსცილებიან და სამთავნი დაიღუპნენ. გემზე 50 მდე ბავშვები იყვნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ გადაარჩა სიკვდილს, ზოგი მესაქებმა და იტალიელებმა დაპოცეს და ზოგი დაიჩხო.

ნაშუადღევს 3 საათზე ამ ადგილს მოუახლოვდა აილანის საფოსტო გემი და გადმყვანა იალქნიან გემის „Cromartyshire“-ს ერთხელ მყოფი გადარჩენილი მგზავრები.

Table with 4 columns: მან. კ., მან. კ., მან. კ., მან. კ. and rows for various categories like 5%, 4 1/2%, 6%, etc.

წარილი რედაქციის მიმართ

11 ივლისს გომის რეინის გზის სადგურზედ იქაურ სავაჭრო-სამეურნეო ამხანაგობის შენობაში გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა ტფილისში დასაარსებლად განზრახულ დედამთავარსა დასაარსებლად განზრახულ დედამთავარსა დასაარსებლად განზრახულ დედამთავარსა დასაარსებლად...

ბანცხალგანი

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის პალატიანი ისყიდება შემდეგ ფაჩხებ: აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ. 26. ვაპ სახალხო ლექსები და ლექსები. 20 საქართველოს ისტორია და ბაქარძისა. 1 საქართველოს ისტორია მ. ბროსისი. 70 მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა. 20 წყარო წიგნი II მისივე. 50 ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ქიქინაძისა. 40 როგორა ცხოვრობდნენ აღმთაინები ძველად. 25 ქ. ნიკოლაძის ნაწერები. 30 კეთილი ძაღლი. 20 თხზულ. მამია გურიელისა ქრონიკები თ. ჟორდანისი ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. 25 ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი, მისივე. 50 თამარ მეფე დ. კარიკაშვილისა. 15 სვიმონ მეფე, მისივე. 10 როსტომ მეფე, მისივე. 10 წყარო არ. ქუთათელაძის I წიგნი. 40 გედები, საყმაწვილო წიგნი. 20 პარტახი მოთ. ნინოშვილისა. 20 ბირომანსი. კარგარეთელისა. 1 ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყლით. 1

მაიდეგა ხელის მოწერა რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონზედ. ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულისი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო 265-ში, განმარტებული და აწერილია რამი სასახლე მერი სიტყვა და სავანი. მათში განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ცნობებზე. ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტი სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160-200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ელირება ხელის მოწერათვის მარტო 12 მანეთი, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შეინიჭონ. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ; ასეთს სტატიებს მოვუწეროთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო 265-ში უკვე იბეჭდება და გამოვა ენციკლისთვეში. ფული და წარდეგა შესა გამოაგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростовашвили. (10-104-8)

კელეკის განყოფილებული კოლდ-პრაიმი, სურგის პომადა და გრილიანტნი რაზედაც უნდა იყოს ხმარებული, ყოველთვის იჩენს თავის გასაოცარს ღირსებას. ისყიდება ყოველგან და ყოველ უფრო საუკეთესო ვაჭართან. Кольды-кремы и губная помада. (3-6-2)

ამიერკავკასიის რეინის გზის მიმოსვლა. მარტო № 1 მარტო № 2 მარტო № 3 მარტო № 4. უმთავრესი ბაქო-დანი... Table with 4 columns: მარტო №, მარტო №, მარტო №, მარტო №. შემადგენელი: ზღვის გამოსაღვ. უმდის გამოსაღვ. უმდის გამოსაღვ. მარტო № 1: 8.47, 5.31, 3.37, 12.41, 11.23, 8.26, 5.23, 2.23, 10.43, 7.29. მარტო № 2: 8.20, 5.46, 3.47, 12.56, 11.32, 9.10, 5.32, 2.37, 10.53, 7.44. მარტო № 3: 8.33, 5.05, 2.48, 12.02, 10.33, 6.33, 2.53, 11.39, 7.39, 3.57, 12.20. მარტო № 4: 8.35, 12.05, 2.16, 5.41, 6.55, 10.57, 2.08, 9.24, 1.25. მარტო № 4: 5.45.